ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №182

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2016 წლის 17 ივნისი

1.ხელშეკრულების მხარეები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილე ბესიკ ოდიშარიას სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. „აკაკი ჭითანავა"-ს სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის. საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

2.გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"(შემდგომ _ „ხელშეკრულება") _ არის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტებით და დამატებებით და ასევე იმ დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.3„მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

2.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობის პროგრამის" ქვეპროგრამა „სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესების" ფარგლებში ლაბორატორიის აღჭურვის შესყიდვა.

CPV კლასიფიკატორის კოდი - 39180000 - ლაბორატორიის აღჭურვი

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შესაძენი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 1920 (ერთი ათას ცხრაას ოცი) ლარს.

ლარს.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. 4.3. შესაძენი საქონლის ერთეულის ფასი და რაოდენობაა:

N	დასახელება	რაოდენობა	საცალო ფასი	სულ ხარჯი
1	კარადა ფიზიკის კაბინეტისთვის	3 ცალი	200,00 ლარი	600, 00 ლარი
2	კარადა ქიმიის კაბინეტისთვის	3 ცალი	250,00 ლარი	750,00 ლარი
3	კარადა ბიოლოგიის კაბინეტისათვის	3 ცალი	190, 00 ლარი	570, 00 ლარი
4	სულ			1920, 00 ლარი

4.4. შესაძენი საქონელი მიწოდებული იქნება, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთვის, აფხაზეთის #12 საჯარო სკოლის გადასაცემად.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიაწოდოს შესაძენი საქონელი.
5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.
5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
5.4.შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
5.5.მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. უფლებების გადაცემა

6.1.მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი

7. საქონლის მიღება-ჩაბარების ვადები და წესი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს შესაძენი საქონელი მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში.
7.2. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი ან/და ანგარიშ-ფაქტურისა ,,მიღება-ჩაბარების" აქტის წარმოდგენის შემდეგ.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი ნინო ლობჟანიძე

9. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

9.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს) და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა.

10. ანგარიშსწორება

10.1.ანგარიშსწორება მიმწოდებლთან განხორციელდება ლარებში.
10.2.ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ,,მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო სამუშაო დღის განმავლობაში.
10.3.ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო . გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
10.4.წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი უნდა იქნეს (მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს) წინასწარ გადახდილი თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია.

11. ფასები

11.1.წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესაძენი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
11.2.ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1.ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
12.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. სუბ-კონტრაქტორები

12.1.ამ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

12.2.ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

12.3.ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

13.1.ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას

13.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში ვადის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობით.

15.2.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 .საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1.ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორემხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2.ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4.ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5.შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გაწყვეტის წესი

17.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ წარმოშობილი ნებისმიერი დავა, მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

17.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

18.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა
და კულტურის სამინისტრო.
ქ.თბილისი უზნაძის ქ.№68
ს/კ 249258761
„სახელმწიფო ხაზინა"
ბ/კTRESGE22
ა/ნ 200122900

მინისტრის
მოადგილე ბადიშარია

ი.მ. „აკაკი ჭითანავა"
ს/კ 62001024291
საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. „პროკრედიტ ბანკი"
ბ/კMIBGGE22
ა/ნ GE17PC0173600100014801